საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას
ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ბაგები 502-სა“ და „ბაგები 504-ის“

განცხადება

მოკლე ისტორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა 1978 წელს ჩამოაყალიბეს კოოპერატივი საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

1982 ქ. თბილისის აღმასკომის მიერ ოფიციალურად დამტკიცდა ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა (შემდგომში _ იბა) „ბაგები 502“, მოგვიანებით იბა „ბაგები 504“. თბილისში, ყიფშიძის ქ. # 1-ში არსებული 10 998.00 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.14.003.122.) საკუთრების უფლებით ეკუთვნის იბა „ბაგები 504-ს“.

ბინის მიღებას წლებია ელოდება 200-მდე ოჯახი (1000-მდე ადამიანი), რომლებიც სახელმწიფოს მიერ აღიარებული არიან დაზარალებულად. ზოგიერთი პროფესორი, დღესაც უბინაოდაა და სტუდქალაქის კორპუსებში ცხოვრობს (სტუდენტობიდან _ პენსიაში გასვლამდე). ამხანაგობის ყველა წევრს შესატანი თანხა გადახდილი აქვს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, რაც აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. მშენებლობის პერიოდში შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლება ეროვნული ხელისუფლებით, დაიშალა საბჭოთა კავშირი, გამოვიარეთ ომი რუსთაველზე, აფხაზეთის ომი, ცხინვალის რეგიონის ომი. მშენებლობა რამდენჯერმე შეწყდა. ბოლოს 2008 წლის აგვისტო ომის შემდეგ. აღარ გავაგრძელებთ იმ გაუსაძლისი პირობების აღწერას, რაც ჰქონდათ და აქვთ თსუ პროფესორ-მასწავლებლებს.

როგორც იქნა, დაიწყო მშენებლობა. სამწუხაროდ, ყიფშიძის ქუჩის რამდენიმე მაცხოვრებელი ეწინააღმდეგება ყიფშიძის 1-ში მშენებლობას. 2021 წლის სექტემბრიდან მათ შეძლეს რამდენიმე პარტიის და ტელევიზიის ჩათრევა საპროტესტო აქციებში. საქმის სიღრმისეულად შესწავლის შემდეგ, რამდენიმე პარტიამ ბოდიში მოგვიხადა.

ტელევიზია „ფორმულა“ ჩართულია ჩვენ საწინააღმდეგო კამპანიაში. მათ მიერ რამდენჯერმე გაშუქდა აღნიშნული საკითხი და ყოველთვის ტენდენციურად. ერთ-ერთი ასეთი გადაცემა იყო ტელევიზია „ფორმულის“ გადაცემა 2021 წლის 9 სექტემბერს, 10:00 საათიან გადაცემა ფორმულაში. გადაცემა, 10:40 საათიდან 11:05 საათამდე ეხებოდა მშენებლობას შარტავას # 45 და ყიფშიძის # 1-ში.

ჟურნალისტმა თაკო ნოზაძემ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი პრინციპი.

1-ლი პრინციპის დარღვევა

პირველი პრინციპის თანახმად _ **ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.**

გადაცემის მიმდინარეობა. გადაცემის მიმდინარეობის პერიოდში, ჟურნალისტმა თ. ნოზაძემ წარმოადგინა მის მიერ მომზადებული სიუჟეტი, სადაც ჩაწერილი ჰყავდა მხოლოდ ერთი მხარე.

ჟურნალისტის კომენტარი სტუდიაში. ბევრი, სამართლებრივად გაუმართლებელი წინადადება წარმოთქვეს სტუდიაში მყოფმა სხვა ჟურნალისტებმა, მაგრამ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მათ ზერელე წარმოდგენა ჰქონდათ და ამით აიხსნება მათი დამოკიდებულება (თუმცა პროფესიული კუთხით არ აქვს გამართლება). რაც შეეხება ჟურნალისტ თ. ნოზაძეს, ის სტუდიაში ყოფნისას აკეთებდა კომენტარს, რომელიც არ შეესაბამებოდა ქარტიის პირველ პრინციპს. კერძოდ:

1. თ. ნოზაძემ რამდენჯერმე განაცხადა, რომ ყიფშიძის 1-ში შენდება 38-სართულიანი შენობა, რაც ტყუილია. მას თავისუფლად შეეძლო შესულიყო საიტზე Tas.ge და თავისი თვალით ენახა სართულების ოდენობა.
2. თ. ნოზაძემ განაცხადა, რომ ადრე შენდებოდა 10-სართულიანი სახლი, რაც ტყუილია, რადგან შენდებოდა 9 და 16 სართულიანი სახლი.
3. 25-სართულიანი სადარბაზო შენდება აგროჰაბის, გალაკტიონის ძეგლის მხარეს და ვერავითარ შემთხვევაში 25-სართულიანი სადარბაზო (თ. ნოზაძის თქმით 35 სართულიანი) ვერ შეუშლის ხელს სხვა სახლებს.
4. წამყვანის აზრით, მშენებლობის ნებართვას აძლევენ კონკრეტულ კომპანიებს (იგულისხმა ნაცნობი კომპანიები), რომელსაც დაეთანხმა თ. ნოზაძე. მას არ გამოურკვევია, თორემ ვეტყოდით, რომ ინვესტორი მოვიძიეთ ჩვენ იბა „ბაგები 502-მა“ და იბა „ბაგები 504-მა“. მოვიარეთ თითქმის ყველა სამშენებლო კომპანია. ბოლოს ჩავატარეთ ფარული კენჭისყრა 3 დარჩენილ კომპანიას შორის.
5. წამყვანი ეკითხება თ. ნოზაძეს: „შენ შეხვდი მოსახლეობას და რა პასუხს იღებენ ისინი თვითმმართველობის მხრიდანო“. კითხვაში არაფერია ნათქვამი თსუ იბა „ბაგები 502-სა“ და იბა „ბაგები 504-ის“ დაზარალებულებზე, რომლებიც 40 წელია ელოდებიან ბინას. გარდა ამისა, თ. ნოზაძის მხრიდან მცდელობაც კი არ ყოფილა ფორმალურად მაინც მიემართა მერიისათვის.
6. ადგილობრივებს ჩატარებული აქვთ კონკრეტული კვლევებიო. თ ნოზაძის ეს განცხადებაც ტყუილია, რადგან ასეთი დასკვნა არ არსებობს. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულმა სამსახურმა ა.წ. 4 აგვისტოს განიხილა ყიფშიძის 1-ის წინააღმდეგ საჩივარი და უარი უთხრა მათ დაკმაყოფილებაზე ა. წ. 25 აგვისტოს. ამ გარჩევის დროს არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი იქნა ვინმე ბერეჩიკიძის მოსაზრება და არა დასკვნა, რაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება დოკუმენტად. თ. ნოზაძის მითითებული „კვლევები“ გულისხმობს 2 კვლევას მაინც. ესეც ტყუილია, რადგან მას არ დაუსახელებია და ვერც დაასახელებდა მათი არარსებობის გამო.
7. თ. ნოზაძე ამბობს, რომ ითხოვენ საბუთებს და პასუხი არ აქვთ. ესეც ტყუილია, რადგან ყველა საბუთი, საექსპერტო დასკვნა და ა. შ. დევს Tas.ge-ზე და ამის შესახებ მშვენივრად იციან და ნახულობენ ყიფშიძის 1-ში მშენებლობის მოწინააღმდეგეები. გარდა ამისა, თ. ნოზაძეს შეეძლო მიემართა მერიისთვის ან ინვესტორისთვის და მიიღებდა შესაბამის დამაკმაყოფილებელ პასუხს. ჟურნალისტმა არც ეს გააკეთა.
8. სიუჟეტის გასვლის შემდეგ თ. ნოზაძე აცხადებს, რომ: „იმედია ამ ადამიანების პროტესტი რაღაც შედეგს გამოიღებს“. აქედან ნათლად ჩანს, რომ ჟურნალისტი ტენდენციურია და იცავს ერთი მხარის ინტერესებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, **ჟურნალისტმა თაკო ნოზაძემ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი პრინციპი, რადგან**:

აუდიტორიის პოზიციიდან გამომდინარე ინფორმაცია არასწორი იყო. ჟურნალისტს არავითარი ქმედება გაუწევია ინფორმაციის გადასამოწმებლად. მან მხოლოდ ერთი მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციით გააკეთა სიუჟეტი და არაფერი უცდია ინფორმაციის დასაზუსტებლად და გადასამოწმებლად. ჟურნალისტ თაკო ნოზაძეს არ დაუცვია თანასწორობის ბალანსი. არ განუხორციელებია საპასუხო კომენტარის მოპოვება, ყველა რელევანტურ წყაროსთან (მათშორის ამხანაგობა „ბაგები 502-თან“ და „ბაგები 504-თან“,

ინვესტორთან, მერიასთან) ინფორმაციის დაზუსტება. ამით აუდიტორიას არ მიეცა საშუალება, იცოდეს ყველა შესაძლო წყაროსა და მხარის პოზიცია ინფორმაციის შესახებ, რათა თავად შეძლოს ამ ინფორმაციის სანდოობის ანდა ნამდვილობის შეფასება.

ეთიკური ჟურნალისტიკის ერთ–ერთი მთავარი პრინციპია პატივისცემა აუდიტორიის უფლებისათვის, რომ მიიღოს სწორი და გადამოწმებული ინფორმაცია, რაც დარღვეული იქნა ჟურნალისტ თ. ნოზაძის მიერ. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს. „სიმართლის პატივისცემა“ ნიშნავს, რომ ჟურნალისტმა ყველაფერი მოიმოქმედა, რაც კი შედის მის შესაძლებლობაში, რათა საზოგადოებას მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია. ასეთი ძალისხმევა ჟურნალისტს არ გაუკეთებია. შედეგად ტელემაყურებელმა ვერ მიიღო ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია. ჟურნალისტს არ მოუძიებია მეორე მხარე, ალტერნატიული წყაროები, არ გამოითხოვა ინფორმაცია.

ჟურნალისტმა ჩაწერა საერთო ინტერესის რამდენიმე ადამიანი, ასევე მათი ინტერესების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია. ეს წყაროები ვერ ჩაითვლება სხვადასხვა დამოუკიდებელ წყაროდ, რადგან აქვთ საერთო ინტერესები. ჟურნალისტს არ უცნობებია აუდიტორიისთვის, რომ მას ჰქონდა მცდელობა დაკავშირებოდა მეორე მხარესაც, არ მიუთითებია, რომ ინფორმაცია გადაუმოწმებელია.
სტუდიაში მიიწვია მხოლოდ ერთი მხარე, რომლის გამოსვლა ტენდენციური და უსამართლო იყო.

არაზუსტი ინფორმაციის გავრცელებამ ხელი შეუწყო, პროვოცირება გაუკეთა ყიფშიძის ქუჩის მაცხოვრებელთა მიერ თსუ პროფესორ-მასწავლებელთა მიმართ აგრესიულ დამოკიდებულებას და საპროტესტო აქციებს, მათ შორის ქუჩაში გამოსვლებს.

გთხოვთ, განიხილოთ ტელეკომპანია „ფორმულის“ ჟურნალისტ თაკო ნოზაძის მიერ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი პრინციპის დარღვევის ფაქტი.

წარმომადგენელი:
იბა „ბაგები 502-სა“ და იბა „ბაგები 504-ს“ თავმჯდომარე სანდრო ჯორბენაძე

დანართის სახით გეგზავნებათ:

1. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანება # 1223.
2. ს. ჯორბენაძის იბა „ბაგები 502-ს“ თავმჯდომარეობის დამადასტურებელი ამონაწერი შემოსავლების სამსახურიდან.
3. ს. ჯორბენაძის იბა „ბაგები 504-ს“ თავმჯდომარეობის დამადასტურებელი ამონაწერი შემოსავლების სამსახურიდან.
4. მონაკვეთი, ტელეკომპანია „ფორმულის“ იმ გადაცემიდან, რომელიც გადაიცა 9 სექტემბერს და ეხებოდა ყიფშიძის 1-თან დაკავშირებულ მშენებლობას.